

**სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის  
სტუდენტური თვითმმართველობის დებულება**

**დებულება**

მიღებულია სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს მიერ 2017 წლის 29  
დეკემბერს.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში საბაუნის) სტუდენტური თვითმმართველობა შეიქმნა 2010 წელს .

1.2 სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სახელწოდებაა:

ა) ქართულად სრულად - სტუდენტური თვითმმართველობა ;

ბ) ინგლისურად სრულად - student self-government

## 2. დებულების რეგულირების სფერო

2.1 წინამდებარე დებულება არეგულირებს სტუდენტებისთვის სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებასთნ დაკავშირებულ საკითხებს.

2.2 დებულება ვრცელდება სტუდენტურ თვითმმართველობის წევრებზე, პროექტების ან კომიტეტის წევრ პირებზე და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე.

2.3 თვითმმართველობის საქმიანობის პროცესში მისი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მიღებული აქტები უნდა შეესაბამებოდეს ამ დებულებით განსაზღვრულ პრინციპებს.

2.4 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებასა და თვითმმართველობის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მიღებულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, დებულებას გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა.

## 3. სტუდენტური თვითმმართველობის სტატუსი და სახე

3.1 სტუდენტური თვითმმართველობა არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან არსებული სტუდენტთა გაერთიანება, რომელიც ორიენტირებულია ყველა ასპექტში სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებისკენ.

3.2 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

3.3 საბაუნის სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს დროშა, ბეჭედი, ბლანკი და სხვა რეკვიზიტები შემდეგში საჭიროებისამებრ.

3.4 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობა მდებარეობს საქართველო, ქ. თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ, N 3

3.5 საბაუნის თვითმმართველობის ოფიციალური ვებ გვერდი [www.sabauniSG.edu.ge](http://www.sabauniSG.edu.ge)

3.6 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართია [info@sabauniSG.edu.ge](mailto:info@sabauniSG.edu.ge)

4 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის საგანი

4.1 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის მისას, მისი სახის შესაბამისად, წარმოადგენს - სტუდენტების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული მიზნების განხორციელება, როგორიცაა: საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, ინტელექტუალური და სხვა.

4.2 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებისა და სტუდენტური თვითმმართველობის შიდა აქტების შესაბამისად.

5 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის მართვა და სტრუქტურა

5.1 სტუდენტური თვითმმართველობის მართვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად. სტუდენტური თვითმმართველობის მართვა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ა) სამართლიანობა, თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება;

ბ) არჩევანის თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისა და სტუდენტთა მონაწილეობა მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

დ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის;

ე) გადაწყვეტილებების, არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;

ვ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა ან ნებისმიერი სხვა ნიშნისა.

5.2 საბაუნის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო.

5.3 საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის მართვაში დებულებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობენ შემდეგი ორგანოები (მმართველი სუბიექტები):

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო;
- ბ) პროგრამის/ფაკულტეტის თვითმმართველობა;
- გ) პრეზიდენტი;
- დ) ვიცე-პრეზიდენტი;
- ე) საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელი
- ვ) სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა, გარდა მმართველობის ორგანოებისა (მმართველი სუბიექტებისა) მოიცავს კომიტეტებს და საჭიროებისამებრ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს, სტრუქტურული ერთეულების უშუალო მართვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, ვაკანტური ადგილი და სხვა) ზემდგომი მართველი ორგანო (მართველი სუბიექტები)ან ამ უკანასკნელი დავალებით სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული.

#### 5.4 სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო

5.4.1 სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს უფლებები და ვალდებულებები რეგულირდება ამ დებულებით.

5.4.2 სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო, როგორც საბაუნის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი მმართველი ორგანო უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისგან მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების ანგარიში, ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს მიკუთვნებული ფუნქციების განსახორციელებლად;
- ბ) გააკონტროლოს სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციების შესრულება;
- გ) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო შეიმუშავებს ინიციატივას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შეაქვს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში, თუ ცვლილებას მხარს უჭერს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრების 4/5;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრს უფლებამოსილება უჩერდება, თუ იგი მონაწილეობს გაცვლით პროგრამაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა (ცნობის წარდგენის შემთხვევაში) და გარემოებებიდან გამომდინარე სხვა საპატიო მიზეზების გამო;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება საკუთარი განცხადების საფუძველზე; თუ ის გახდება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან დაიწყებს საბაუნის ადმინისტრაციაში მუშაობას; საბაუნის თვითმმართველობის წევრობის პირობას წარმოადგენს სტუდენტის აქტიური სტატუსი. სტუდენტს, რომელსაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, უჩერდება სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა არაუმეტეს 1 სასწავლო სემესტრის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, სტუდენტს სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის უფლებამოსილება უწყდება.

## 5.5 პროგრამის/ფაკულტეტის თვითმმართველობა

5.5.1 პროგრამის/ფაკულტეტის თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტის თავჯდომარისა და წევრებისაგან.

5.5.2 პროგრამის/ფაკულტეტის თავჯდომარეს უფლება აქვს დააკომპლექტოს პროგრამის/ფაკულტეტის წევრებს (არა უმეტეს ამ პროგრამის/ფაკულტეტის 4 სტუდენტისა), რომელიც უშუალოდ ამ ფაკულტეტის საკითხებზე იმუშავებს.

5.5.3 პროგრამის/ფაკულტეტის თვითმმართველობის უფლებამოსილება იმპერატიულად განსაზღვრულია და ვრცელდება კონკრეტული ფაკულტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და სტუდენტთა უფლებების დაცვაზე.

5.5.4 პროგრამის/ფაკულტეტის თავმჯდომარე ამავდროულად არის სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრი.

5.6 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი უმაღლესი თანამდებობის პირია.

5.6.1 პრეზიდენტი პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ეფექტურობაზე და გამოსცემს შესაბამის აქტებს.

5.6.2 პრეზიდენტი ინდივიდუალურად ნიშნავს ვიცე-პრეზიდენტს.

5.6.3 პრეზიდენტი უფლებამოსილია ვეტო დაადოს საბჭოს გადაწყვეტილებას, მიღებიდან 2 დღის ვადაში, გარდა გამონაკლისებისა.

5.6.4 ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო მიიღებს სრული შემადგენლობის 4/5-ით, ვეტოს არ ექვემდებარება.

5.6.5 პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ნიშნავს/ათავისუფლებს სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტების წევრებსა და ხელმძღვანელებს.

5.6.6 პრეზიდენტს უფლება აქვს შექმნას/გააუქმოს კომიტეტი.

5.6.7 პრეზიდენტი თვითმმართველობის ოფიციალური წარმომადგენელია, ხელს აწერს თვითმმართველობის დოკუმენტს, შეიმუშავებს ინიციატივებსა და პროექტებს.

5.6.8 პრეზიდენტი შეიმუშავებს და საბჭოს წარუდგენს სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან/მოკლევადიან სამოქმედო გეგმებსა და ანგარიშებს.

ა) გრძელვადიანია სამოქმედო გეგმა რომელიც მოიცავს შემდგომი 1 წლის ღონისძიებებს;

ბ) მოკლევადიანია სამოქმედო გეგმა რომელიც მოიცავს შედგომი 3 თვის ღონისძიებებს;

5.6.9 პრეზიდენტის უფლებების დელეგირება

ა) პრეზიდენტის არყოფნის და/ან მის მიერ საკუთარი უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი. ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, პრეზიდენტი, საკუთარ უფლებამოსილებებს დროებით განხორციელებას სპეციალური წერილობითი დელეგირებით აკისრებს სტუდენტური თვითმმართველობის სხვა წევრს.

5.9 სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს ამ დებულების შესაბამისად.

5.7 კომიტეტი არის სტუდენტური თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეული, რომლის ხელმძღვანელი და წევრები ემორჩილებიან პრეზიდენტის განკარგულებას.

5.8 თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ პროექტებს ჰყავს ავტორი, ხელმძღვანელი და მონაწილეები.

## 6. არჩევნები

6.1 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს ატარებს საარჩევნო კომისია (სკ)

6.1.1 საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს 3 პირი. ერთი არის სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრი, რომელსაც კენჭისყრით გამოავლენს

სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო სხდომაზე, ხოლო დანარჩენი ორი იქნებიან წეიტრალურიპირები.

6.1.2 საარჩევნო კომისიაში ასევე შედიან კანდიდატთა წარმომადგენლები( ერთ კანდიდატს ეყოლება ერთი წარმომადგენელი), რომელიც დააკვირდებიან არჩევნების მსვლელობას, რომ არ დაირღვეს დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები.

6.1.3 არჩევნების დღეს, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აგიტაცია აკრძალულია (აგიტაციად ითვლება ყველა ის ქმედება რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულია აგიტაციად). დარღვევის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია ვალდებულია აგიტატორები პირველ ჯერზე გააფრთხილონ, ხოლო განმეორების შემთხვევაში, არჩევნებიდან მოხსნან შესაბამისი კანდიდატურა.

6.1.4 საარჩევნო უბანი გაიხსნება 10:00-დან 19:00-მდე.

6.1.5 ხმების დათვლას დაესწრებიან კანდიდატები და მათი 1 წარმომადგენელი.

6.1.6 არჩევნებზე ხმები დაითვლება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად.

6.1.7 გამარჯვებულ კანდიდატს უფლებამოსილება ენიჭება შედეგების გამოქვეყნებისთანავე.

6.2 პროგრამების არჩევნებში ყველა პროგრამიდან აირჩევა 3 წევრი : ბიზნესის, ტურიზმის, თეოლოგიის, საერთაშორისო უთიერთობები. ასევე სამართლის ფაკულტეტს ეყოლება 3 წარმომადგენელი.

6.2.1 პირი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს შესაბამისი პროგრამის/ფაკულტეტის არჩევნებში, ხდება ამ პროგრამის/ფაკულტეტის თავმჯდომარე და ამ დებულების შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრი.

6.2.2 სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა ვადის ამოწურვამდე შენარჩუნებული იქნება ის დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება, თუ რომელმა კანდიდატმა რამდენი ხმა აიღო, რითაც შემდგომში საკადრო ცვლილებებისას სტუდენტური თვითმმართველობა იხელმძღვანელებს.

6.2.3 არჩევნებში მონაწილეობა/ხმის მიცემა შეუძლია საბაუნის აქტიური სტატუსის მქონე ყველა სტუდენტს შესაბამისი ფაკულტეტიდან/პროგრამიდან.

6.2.4 არჩევნები ტარდება ფარულიკენჭისყრით და თანასწორობის პრინციპის დაცვით (განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა,

წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა)..

6.2.5 კანდიდატის/კანდიდატების ასარჩევად საჭიროა, რომ შესაბამისი ფაკულტეტიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების სრული შემადგენლობის 20%-ზე მეტმა. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნები ჩაიშლება.

6.2.6 კანდიდატი/კანდიდატები არჩეულად რომ ჩაითვალოს, უნდა მიიღონ შესაბამისი ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა ხმების 5%-ზე მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩატარდება განმეორებითი არჩევნები.

## 7. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს რეგლამენტი

7.1 საბჭო შედგება 5 წევრისგან.

7.2 საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ 4/5 წევრისა, ხოლო გადაწყვეტილება ძალაში შედის, თუ ინიციატივის მხარდამჭერია არანაკლებ 3/5 წევრისა.

7.3 საბჭოს სხდომის თავჯდომარესკენჭისყრით ირჩევენ მათი შემადგენლობიდან.

7.3.1 საბჭოს თავჯდომარე აირჩევა 3 თვის ვადით.

7.4 საბჭოს სხდომაზე ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის საბჭოს თავჯდომარეს.

7.5 საბჭოს გადაწყვეტილება გამოიცემა ოქმის სახით, შესაბამისი რეკვიზიტებით, ძალაში შედის საბჭოს თავჯდომარისა და სხდომის მდივნის ხელმოწერის შემდგომ.

ა) სხდომის მდივანი აირჩევა 3 თვის ვადით,

ბ) სხდომის მდივანი ირჩევა საბჭოს სხდომაზე (სხდომის მდივანი შეიძლება იყოს საბაუნის ნებისმიერი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი) საბჭოს წევრების მიერ კენჭისყრით;

გ) სხდომის მდივანს არ აქვს საბჭოს სხდომაზე ხმის უფლება;

დ) საბჭოს თავჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრებიდან, მის მოვალეობებში შედის სხდომის წარმართვა ამ დებულების შესაბამისად;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს სხდომაზე არის დასწრების ფურცელი რომელსაც ყველა დამსწრე წევრი აწერს ხელს;

7.5.1 პრეზიდენტი ვალდებულია სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას 2 დღის ვადაში გაეცნოს და დაეთანხმოს ან ვეტო დაადოს ამ დებულების შესაბამისად.

7.5.2 როდესაც საბჭოს წევრთა რაოდენობა შეადგენს 3/5-ზე ნაკლებს, ინიშნება ვადამდელი არჩევნები ( შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში) საბჭოში ვაკანტური ადგილების შესავსებად. საბჭოს წევრები ვადამდელ არჩევნებამდე უფლებამოსილნი არიან უფლება მოსილება შეუჩერონ პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, კომიტეტების ხელმძღვანელებს და კომიტეტების წევრებს.